საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-01/9483
23/06/2022

9483-2-01-2-202206232109

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრს
ბატონ გია აბულაძეს
ტელ: +995(0)32 228 54 48
ელ-ფოსტა: contact@sca.ge
ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ.№37

ბატონო გია,

თქვენი 2022 წლის 8 ივნისის №09-02-16/328 (დეპარტამენტში რეგისტრაციის №16436/2 08.06.2022) წერილის პასუხად, რომელიც შეეხება **ქობულეთის შემოსავლელი** საავტომობილო გზის შესახებ ინფორმაციის მიწოდების საკითხს, გაცნობებთ შემდეგს:

1. ქობულეთის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობა გაყოფილი იყო 2 მონაკვეთად, პირველ მონაკვეთზე საგზაო საფარის ძრითადი ნაწილი მოეწყო 2013 წელს, ხოლო მეორე მონაკვეთზე 2016 წელს. ავტოტრანსპორტის მოძრაობა პირველ მონაკვეთზე გაიხსნა 2013 წლის 24 ოქტომბერს, ხოლო მეორეზე 2018 წლის 25 ივნისს.
2. აღნიშნულ გზაზე (კმ0+000-კმ31+259) მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) და ზამთრის შენახვის სამუშაოებზე გახსნის დღიდან დღემდე დაიხარჯა:
   1) 2014 წელი - 80 721,44 ლარი;
   2) 2015 წელი - 22 467,20 ლარი;
   3) 2016 წელი - 1 134,92 ლარი;
   4) 2017 წელი - 140 255,33 ლარი;
   5) 2018 წელი - 255 489,07 ლარი;
   6) 2019 წელი - 143 137,26 ლარი;
   7) 2020 წელი - 325 013,51 ლარი;
   8) 2021 წელი - 300 821,61 ლარი;
   9) 2022 წელი - 75 558,37 ლარი, 31 მაისის მდგომარეობით (5 თვე).

   საავტომობილო გზის კმ0+00-კმ31+259 მონაკვეთზე 2021 წლის ბოლოს ჩატარდა პერიოდული შეკეთების სამუშაოები ღირებულებით - 7 706 139.12 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

3. შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან და საპატრულო პოლიციისაგან რეკომენდაციები საგზაო მოძრაობის წესების დარღვევების სიხშირის გამო არ მიგვიღია.
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან მიღებული ინფორმაციით, აღნიშნულ საავტომობილო გზაზე გასული წლების საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ანალიზის შედეგად დგინდება რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების მოხდენის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა „შემხვედრი მოძრაობის ზოლში გადასვლა ან გასწრების წესების დარღვევა“.
5. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქობულეთის შემოვლითი საავტომობილო გზა გეომეტრიული პარამეტრების გათვალისწინებით, დაგეგმარებულია, დაპროექტებულია და აშენებულია ქვეყანაში მოქმედი საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად, მოწყობილია გარე განათების ქსელი, ასევე უზრუნველყოფილია საავტომობილო ტრანსპორტის გამტარუნარიანობის პირობები.
6. სახელმწიფო უწყებისათვის ზემოაღნიშნულ მონაკვეთზე ტრანსპორტის მოძრაობის სხვაგვარად მოწყობის ან რაიმე შეზღუდვების დაწესების მოთხოვნით არ მიგვიმართავს.

პატივისცემით,

გიორგი წერეთელი

დეპარტამენტის თავმჯდომარე